შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 7489

11/03/2015

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მატერიალური აქტივების ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაზე გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გადაეცეს ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ, ბალანსიდან ბალანსზე, სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მატერიალური აქტივები დანართი №1-ის შესაბამისად, საბალანსო ღირებულებით - 3606,86 (სამიათასექვსასექვსი ლარი და 86 თეთრი) ნარჩენი ღირებულებით 652,52 (ექვსასორმოცდათორმეტი ლარი და 52 თეთრი).
2. სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველომ უზრუნველყოს ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაზე ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული, ქონების გადაცემა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს აქტივებისა და ინვენტარიზაციის მართვის განყოფილების სპეციალისტი - მზია ხუხია.
4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.
5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის N>1-03/371 23/02/2015 წერილი.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური

დანართი N1

	ინვენტარის დასახელება	საინვენტარო #	რაოდენობა	საბალანსო ღირებულება	ნარჩენი ღირებულება
1	გისოსი კარის	№0004280	1	376	78,8
2	გისოსი კარის	№0004281	1	376	78,58
3	გისოსი კარის	№0004282	1	171.6	0
4	გისოსი კარის	№0004283	1	171.6	0
5	გისოსი კარის	№0004284	1	171.6	0
6	გისოსი კარის	№0004285	1	171.6	0
7	გისოსი კარის	№0004286	1	171.6	0
8	გისოსი ფანჯრის	№0004272	1	182.25	54,9
9	გისოსი ფანჯრის	№0004273	1	182.25	54,9
10	გისოსი ფანჯრის	№0004274	1	182.25	54,9
11	გისოსი ფანჯრის	№0004275	1	182.25	54,9
12	გისოსი ფანჯრის	№0004276	1	182.25	54,9
13	გისოსი ფანჯრის	№0004277	1	182.25	54,9
14	გისოსი ფანჯრის	№0004278	1	182.25	54,9
15	გისოსი ფანჯრის	№0004279	1	182.25	54,9
16	გისოსი ფანჯრის	№0004270	1	269.43	28,08
17	გისოსი ფანჯრის	№0004271	1	269.43	28,08
	ჯამი			3606.86	652,52